მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2023 წლის 28 თებერვალი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ

საქართველო ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 08 ოქტომბრის №784 ბრძანებულების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ქალაქ მცხეთაში ერთსაფეხურიანი ზონირება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ მცხეთის (თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი) მაკრომდებარეობის ინდექსისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ'' მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 თებერვლის (www.matsne.gov.ge.19/02/2018; 010250000.35.153.016415) №21 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ელოშვილი**

დანართი №1

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (CN) დიფერენცირებულია ტერიტორიის ზონირების შესაბამისად სამი ზონის მიხედვთ და გამოანგარიშება შემდეგი ფორმულით: CN = IMG * ITL * C * K

CN – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

IMG – თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრის, ქ. მცხეთის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც შეადგენს - 0,63 -ს;

ITL – საკრებულოს მიერ განსაზღვრული ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, (ცენტრალური ზონისთვის 1,1; შუალედური ზონისთვის 1,0 და პერიფერიული ზონისთვის 0,9);

C – საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

1 $მ^2$ – ის საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა ტოლია 0, 24 ლარის;

K – საკრებულოს მიერ დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ტოლია 447 - ის.

მუხლი 2. ქ. მცხეთაში სახელმწიფო და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით.

ზონა	IMG	ITL	C	K	შუალედური ზონის 1 $მ^2$ - ის ნორმატიული ფასის %	CN ლარი
I . ქ. მცხეთა მ. შორის ა. ცენტრალური ზონა	0,63	1,1	0,24	447	100	74,3
ბ. შუალედური ზონა	0,63	1,0	0,24	447	100	67,5
გ. პერიფერიული ზონა	0,63	0,9	0,24	447	100	60,8
II . სოფლები	---	---	---	---	30 %	20,3
III.დასახლებათა შორის არეალი	---	---	---	---	30 %	20,3
IV . საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების 50 მ-ის რადიუსში თითოეულ მხარეს.	---	---	---	---	100 %	67,5

მუხლი 3. სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. მცხეთის შუალედური ზონის ნორმატიული ფასის 30% - ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 20,3 ლარს.

მუხლი 4. დასახლებათა შორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. მცხეთის შუალედური ზონის ნორმატიული ფასის 30%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 20,3 ლარს.

მუხლი 5. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. მცხეთის შუალედური ზონისთვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 100%-ით (67,5 ლარი).

დანართი №2

ქალაქ მცხეთაში ერთსაფეხურიანი ზონირება

ქალაქ მცხეთაში გამოიყოფა 3 ზონა: ცენტრალური, შუალედური და პერიფერიული.

ა) ცენტრალური ზონა (ბებრისციხიდან სადგურის ხიდამდე) – მიწის ნორმატიული ფასი 74,30 ლარი.

ბ) შუალედური ზონა (ღართიკარი და სადგურის დასახლება) – მიწის ნორმატიული ფასი 67,50 ლარიჲ

გ) პერიფერიული ზონა (ნარეკვავი, არმაზი) – მიწის ნორმატიული ფასი 60,80 ლარი.